სადაც ზურაბ წერეთელია, იქ საქართველოს ღირსება და სახელია;

სადაც ზურაბ წერეთელია, იქ საქართველოს დიდი კულტურის დღევანდლობაა;

სადაც ზურაბ წერეთელია, იქ უბისის ტაძრის მომხატველი მექა და ბეჭენი ოპიზმების სიდიდეა;

სადაც ზურაბ წერეთელია, იქ მცხეთის ჯვრისა და არსუჯიძის სვეტიცხოვლის ქვაში ამღვრებული პარმონიაა!

ძალიან უბრალოდ რომ ვთქვათ: სადაც ზურაბ წერეთელია, იქ სიცოცხლე, ღიმილი, სიმშვიდე და ხალისია!

ზურაბ წერეთლის მომოქარ სულში, ვითარცა სიონის საკათედრო ტაძარში, მუდამ მაღალია სულისკვეთება!

...იმერული სიკისკასით და დაკვანწული წერეთლების გარეგნობით გამორჩეული ცისფერთვალეა თავადი ზურაბ წერეთელი, საკუთარი მკლავისა და ნიჭის ძალით, შრომისმოყვარეობითა და უფლის ნება-კურთხევით, ოფიციალური მილიონერი გახდა. ღვთის წყალობა იყო იმის შეგრძნებაც, რომ ზურაბ წერეთელი მალე მსოფლიო მასშტაბის ქველმოქმედად და მეცენატად მოგვევლინა.

მისი უშურველი ხელი ქართველ უურნალისტებსაც მისწვდა. აი, კონკრეტული ფაქტი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოფეთ!

ორიოდე წლის წინათ გარდაცვლილი საქართველოს დამსახურებული უურნალისტი, ერთობ გამორჩეული მაღლაკელი კოლორიტი, წერეთლების სიძე და მეხოტბე (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს მისი ჩინებული მეუღლე, შვილების დედა და მართლაც დიდებული ექიმი, ქალბატონი დაგმარა წერეთელი!), ქართველ კულტურის მუშაკთა შორის პირველი ღირსების ორდენის კავალერი ვილენ მარდალეიშვილი ამ ათიოდე წლის წინათ საკუთარი რჩეული ნაწერების ერთტომეულს ამზადებდა. კრებული ერთობ სქელტანიანი გამოვიდა. გამომცემლობამ ამ წიგნის 3000 ცალის (გვგემპლარის) აკინძვა-დაბეჭდვაში 10 000 ლარი მოითხოვა.

– იაფია, მარა, აბა მე ვინ მომაშავა ამდენი ფული – დაიწუწუნა ვილენმა.

– შენცა ხარ, რაღა!.. შეეხმინე ზურაბ წერეთელს, ოღონდ ჯერ ერთი ბოთლი ღვინო დალიე, კარგ ხასიათზე დადებ და მერე დაურეკე, ვუთხარი გვარიანად შეზარხოშებულ ვილენს.

– ღვინის დამატება არ მჭირდება, მაგრამ რა ნამუსით დავერეკო ზურაბს, სამი წლის წინაც ხომ დამაფინანსა...

– არა უშავს, შენ ხომ წერეთლების საამაყო სიძე ხარ!..

„ზედმეტი თავმდაბლობისგან“ და ღვინისგან აჭარხლებული ვილენ მარდალეიშვილი, ათიოდე წუთის შემდეგ მართლა ურევავს ბატონ ზურაბს.

– დიდი სიყვარულით მოგესალმებით, ძვირფასო ზურაბ! ავერ, მეგობრებმა შემაგულიანეს, თორემ ვერ ვგედავდი დარეკვას...

...ზურაბის ხმა ჩვენ არ გვეს-

მის. ვილენის სახის მიმიკებით ვხვდებით, რომ „საიდუმლო“ მოლაპარაკება უარგად მიდის და ვილენი გახარებული იცინის, იცინის კი არა ხარხარებს!, როხროხებს!..

– იცით რა მითხრა? – მაგ ფულს სამ-ოთხ დღეში მიიღებ, ოღონდ დაგმარას სახელზე გამო-

ვაგზავნი. შენ სახლამდე არ მიგყვებო!

– ააშენა ღმერთმა! ნეტა ბევრი გყავდეს ევეთი ქართველი, ჩაილაპარაკა რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა მამუკა ვაშაყიძემ...

...და მართო ვილენ მარდალეიშვილი?! რამდენი გაჭირვებული ქართველისთვის თუ რუსისთვის,

რამდენი ავადმყოფისთვის, რამდენი სოლიდური ეროვნული საქმიანობის გაუქვდია დახმარების ხელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ზურაბ წერეთელს.

განსაკუთრებით ემადლიერება ბატონ ზურაბს თავისი სიყრმის მეგობარი, ქართული კულტურის დიდი ქომაგი, დამსახურებული უურ-



„გლოვის ცრემლი“, რომელიც ზურაბ ჭერეთელმა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა და 175-ტონიანი, 30 მეტრი სიმაღლის სტელა აშშ-ში სხვა „გლოვის ცრემლის“ მოპირდაპირი მხარეს დადგეს.

უნიკალური მოღვაწე

ბატონ ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მსოფლიოს კიდევ ერთ საოცრებას მიეკუთვნება. მისი მონუმენტური ქანდაკებები თუ ფერწერული მოხაზურობები მრავალადაა მოფენილი მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებში. მათი სიმრავლე და მასშტაბები იმდენად დიდია, თითქოს დედამიწა უკვე გაჯერებულია და ახლა, ალბათ, სხვა პლანეტის ათვისება

საჭირო.. ამისთვის კი ბატონ ზურაბს საკმარისი ემოცია, ენერჯია და ტემპერამენტი გააჩნია. 4 იანვარს, ბატონო ზურაბ, 90 წელი გისრულდება. მინდა, მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი საიუმბილეო თარიღი და გისურვოთ ყოველგვარი სიკეთე, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს.

ნიკოლოზ ნულუქიძე,
თეატრმწოდველი

ნალისტი და მწიგნობარი, მწერალთა და უურნალისტთა თაობების აღმზრდელი და მათი გოლგოთური შრომის დამფასებელი, ქალბატონი ეთერ ჯიშკარიანი, რომელმაც სახელოვან უურნალისტთა და ერისკაცთა წარმოსაჩენად საერეთაშორისო უურნალისტური პრემია „ოქროს ფრთა“ სწორედ ზურაბ წერეთლის თანადგომით და წახალისებით დააფუძნა.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს თვისება, ისე როგორც ზუმალაშვილებს, ხოშტარეებს, პატარაკვიცილებს, ივანეშვილებს, ზურაბ წერეთელსაც სისხლში აქვს გამჟღავნებული.

„მდიდარი ბევრნი ყოფილან, ოხრად რჩენიან ქონებათ“, ანდრეძივით შთააგონა ქართველებს დიდმა თავადმა, „ვაკ ღრონი, დრონის“ ავტორმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა და სწორედ ეს ზეციური სიმბრძნე „მიწაზე ჩამოიტანა“ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების უიშვიათისი ტალანტის მქონე შემოქმედმა ზურაბ წერეთელმა.

მან თავისი მატერიალური სიმდიდრე, უნიკალური მხატვრული ნიმუშები, საქართველოს და სხვა დიდ სახელმწიფოებს უანგაროდ უსახსოვრა.

დიდი შემოქმედი მთელ დედამიწას ეკუთვნის, მაგრამ, ის უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის ღმერთს, ზეცას, კოსმოსს გაფრენილ წინაპართა სულებს.

ზურაბ წერეთლის დიდი ხელოვნება თავისი მოცულობით, მართლაც მონუმენტური და გრანდიოზულია.

ამიტომაც მიისწრაფვის ცოცხალი მიწიდან ზეცისკენ მომწუსხველი „ადამიანი და მზე“, „წმინდა გიორგის ძეგლი“, „წმინდა ნინოს ძეგლი“, „გლოვის ცრემლი“, რომელიც ზურაბ წერეთელმა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა და 175-ტონიანი, 30 მეტრი სიმაღლის სტელა აშშ-ში სხვა „გლოვის ცრემლის“ მოპირდაპირი მხარეს დადგეს.

„ახალი სამყაროს დაბადება“ ჰქვია ზურაბ წერეთლის უიშვიათის ქანდაკებას, რომელიც 2016 წელს პუერტო რიკოში დაიდგა.

რუსეთის ძველ და ახალ დედაქალაქებს, პეტერბურგსა და მოსკოვს ამშვენებს პეტრე პირველის, პეტრე დიდის სუპერმონუმენტური ძეგლი, მემორიალები – „საუკუნო მეგობრობა“, „გამარჯვების მემორიალი“ და მრავალი სხვა.

ენაჭარტალა ოპონენტები და კრიტიკოსები სწორედ ამ იგავმიუწვდომელი გრანდიოზულობის გამო უწენენ დიდ მხატვარს მსოფლიო მნიშვნელობის შედეგებს, რადგანაც იმათი გონება ვერ სწვდება ზურაბ წერეთლის სიდიადეს!

ზურაბ წერეთელი 1999 წლიდან არის მისი უშუალო თაოსნობით დაარსებული მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, რუსეთის ინფორმატიკის აკადემიის და რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიო ელიტის აკადემიის წევრი, ამერიკის ნატიფი ხელოვნების უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და ა.შ.

ამიტომაც, ზურაბ წერეთელს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყოველგვარი სახელოვნებო ნორმიდან ამოვარდნილი ტალანტი, მისი ხელოვნების სიდიადე მართლაც მიუწვდომელია!

ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისცეს 90 წლის ერთ-ერთ უპირველეს ქართველს ზურაბ წერეთელს!

სპარტაკ ძოგულია,
გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი.

3000მ, უკრაინის ომი საქმარისი თავისტიკვილი არ იყო პლანეტისთვის, ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებით რომ დაიძაბა მდგომარეობა. კაცობრიობას არასდროს არ დაავიწყდება 2023 წლის 7 ოქტომბრის საწარმოო თავდასხმა ისრაელზე, რომელიც ექსტრემისტულმა ორგანიზაციამ ჰამასმა დაზიანდა განახორციელა. ისრაელის ტერიტორიაზე ჰამასის ასობით მებრძოლი შეიჭრა. თავდასხმა ერთდროულად განხორციელდა ციდან, ზღვიდან და ხმელეთიდან. ალ-აქსა-ჩარღენად ცნობილი ჰამასის ეს სამხედრო ოპერაცია ისრაელზე დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი. ჰამასელმა მებრძოლებმა ერთდროულად შეუტეს ისრაელის სამხედრო ბაზას, პატარა-პატარა დასახლებებსა და იმ-დროს მიმდინარე მუსიკალურ ფესტივალს, რომელიც ქალაქ ოფაკიმის მახლობლად, ღია ცის ქვეშ ტარდებოდა. ჰამასის მებრძოლები დაუნდობლად გაუსწორდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ორასზე მეტი ადამიანი მძევლად აიყვანეს, დაღუპულთა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა. ჰოლოკოსტის მერე, ერთ დღეში დახოცილი, ამდენი ებრაელი არავის უნახავს. ისრაელის მთავრობამ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და 100 ათასი ჯარისკაცის მომილიზაცია მოახდინა. მოგვიანებით, ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყეს, სახელწოდებით, „რკინის ხმლები“. კონფლიქტი ღამეში გრძელდება. ჰამასის პარტიზანულ ომზე გადავიდა, რისთვისაც მანამდე აშენებულ გვირაბებს იყენებს. ვითარება ისრაელ-ლიბანის საზღვართანაც დაიძაბა. სამხრეთ ლიბანიდან, ისრაელს ჰგზობდა უტყვის რაკეტებით. მდგომარეობა წითელ ზღვაშიც გამწვავდა. იემენის ჰუსიტები სატრანსპორტო გემებზე შეტევებს ახორციელებენ.



2023 წლის სექტემბერში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის გზით, 30 წლის შემდეგ, აზერბაიჯანმა მთლიანად დაიბრუნა მთიანი ყარაბაღი, რომლის სომხური მოსახლეობის 90 პროცენტი სომხეთში გაიხიზნა, თუმცა, ყარაბაღზე აზერბაიჯანის იურისდიქციის გავრცელება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ამოწურვას არ ნიშნავს. მათ შორის, დღემდე არსებობს გადაუწყვეტელი პრობლემები, რის გამოც, ორ ქვეყნის შორის არ გაფორმებულა სამშვიდობო ხელშეკრულება.



კვლევა კვლევი, ლიბერალური ნუსრიბი, იბაღება ახალი!..

2023 წელს, ამერიკასა და ჩინეთს შორის, გაგრძელდა ბრძოლა გლობალური პირველობისთვის, თუმცა, ეს დაპირისპირება, ჯერჯერობით, არც სამხედრო კონფლიქტსა და არც ცივ ომში არ გადაზრდილა, რადგან, ახლა მდგომარეობის გამწვავება არცერთ მხარეს არ აძლევს ხელს. და მაინც, მათი მეთოდები მსოფლიოს ყველა კუთხეში, პოლიტიკისა და ეკონომიკის ყველა სფეროში იგრძნობოდა. ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირების კვალდაკვალ, საერთაშორისო არენაზე სხვა ქვეყნებშიც გააქტიურდა, რომელთაც მტკიცედ სჯერათ, რომ ახალი საერთაშორისო წესრიგი პოლარულ მსოფლიოს ნიშნავს.

33წლის, მემარჯვენეების რეიტინგი რეკორდებს ხსნის. იტალიის შემდეგ, პოლანდის საპარლამენტო არჩევნებში, პირველ ადგილზე ულტრამარჯვენე პარტია გავიდა. მსგავსი სენსაცია მოხდა არგენტინაშიც, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებში ლიბერალური პოპულიზტიკა მოიგო.

2023 წელს, მსოფლიოს წამყვანი ერები კოსმოსშიც გააქტიურდნენ: ამერიკა, რუსეთმა და ჩინეთმა, ამ დარგში, არაერთი მისია და პროექტი აქციეს რეალურად. მათ ინდოეთიც შეუერთდა, რომელმაც წარმატებით განახორციელა მისია მთვარეზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ინდოეთმა, მოსახლეობის სიდიდით, ჩინეთს გაუსწრო!..

ახლა, მოდი, მხანკარ, რას გვპირდებიან და რა პროგნოზებს აკეთებენ პოლიტიკური ექსპერტები კარს მომდგარი 2024 წლისთვის: დიდი ალბათობით, ომები უკრაინასა და ღამას სექტორში გაგრძელდება. რუსეთი განაგრძობს მცდელობას, უკრაინისთვის შავი ზღვა ჩაკეტოს... სკანდინავიური ქვეყნების ნატოში გაერთიანება რუსეთის ამ მიზანს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რანგში აიყვანს, მაგრამ, სპეცილისტიკაში ფიქრობენ, რუსეთი მიზანს, ვერ მიაღწევს. უკრაინის ფორტის ხაზზე დიდ გარღვევებს არ უნდა ველოდეთ, რადგან კონფლიქტი, თანდათანობით, ომით გამოფიტვის ფაზაში გადავა.

იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ფაზაში, სარისკო პროგნოზია. დიდ როლს ითამაშებს დასავლეთის ნება უკრაინისთვის დახმარება-არდახმარებასთან მიმართებით. 2024 წელს, მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება ახლო-აღმოსავლეთში, რადგან მიმდინარე კონფლიქტის არცერთი მხარე დათმობაზე არ მიდის. მომავალ წელს, ისევ გაგრძელდება ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირება. მათ შორის კონკურენცია კიდევ უფრო გამწვავდება ინდოეთ-ჩინეთის ოკეანის რეგიონში. ანტირუსული სანქციების გავლენითა და დასავლეთ-ჩინეთის დაპირისპირების გამო, ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკის მკვეთრ ვარდნას ვარაუდობენ. მომავალ წელს, განსაკუთრებული ყურადღება ორ მოვლენას დაეთმობა: არჩევნებს, რომელიც მსოფლიოს ოთხ ათეულზე მეტ ქვეყანაში ჩატარდება, და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარების უნივერსალურ ეფექტს. 2024 წლის არჩევნებში ოთხ-მილიარდამდე ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი იქნება ჩამოყალიბებული. შეიძლება, ითქვას, საარჩევნო მსოფლიო მარათონი გაიმართება. ზოგიერთ ქვეყანაში, წინასწარაა ცნობილი, ვინ მოიგებს არჩევნებს, მაგალითად, დიდი მარ-

ჩიელობა არ უნდა, რომ რუსეთში, 2024 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინი გაიმარჯვებს. რუსეთისაგან განსხვავებით, არის ქვეყნები, სადაც არჩევნებში, შეიძლება, მეტი სიურპრიზი მოგვიჩვენოს, მაგალითად, პაკისტანში, სადაც მორიგი საპარლამენტო არჩევნები თებერვალში უნდა ჩატარდეს. აპრილ-მაისში, საპარლამენტო არჩევნები ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაში, ინდოეთში უნდა ჩატარდეს, სადაც, მოსახლეობის სიდიდის გამო, პროცესი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, შეძლება, ურთულეს ლოჯისტიკურ აკრომატიკად ჩაითვალოს. არჩევნებში, პასუხი უნდა გასცეს კითხვას, შესძლებს თუ ვერა ახლანდელი პრემიერ-მინისტრის, ნარენდრა-მოდის პარტია არჩევნების მესამეჯერ მოგვებას. როცა მსოფლიო საარჩევნო მარათონზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოვივრდეთ ევროპის საპარლამენტო არჩევნებში, რომელსაც არა მხოლოდ ევროპა, არამედ, მთელი მსოფლიო ელოდება. წინასწარ მღელვარებას იწყებს კითხვა, შეძლებენ თუ ვერა ევროპის ულტრა-მემარჯვენეები ევროპის მომავალ პარლამენტში უფრო მძლავრი ხმით მოსვლას. შეიძლება, საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდეს ინგლისშიც, რომლის თარიღი ჯერ არ დასახვლემულია, მაგრამ ინგლისის პრემიერ-მინისტრის აზრით, შეიძლება, შემოდგომაზე ჩატარდეს. 2024 წლის ყველაზე დიდი და გახმაურებული საარჩევნო ეპიზოდი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება. ბაიდენისა და ტრამპის შეტაკებასა და პაექრობის შედეგს მთელი მსოფლიო უდიდესი ცნობისმოყვარეობითა და მღელვარებით ელოდება, რადგან, ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ვინ გახდება თეთრი სახლის მთავარი ბინადარი – ლიბერალი თუ კონსერვატორი. არჩევნების თარიღი 2024 წლის 5 ნოემბერია, არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია კი, 2025 წლის 20 იანვარს ჩატარდება.

ცნობილი ამერიკელი გამოცემა Rime-ი, 1927 წლიდან დაწყებული, დღემდე, ყოველწლიურად ასახელებს წლის ყველაზე გამოჩენილ ადამიანს, რომლის ფოტო, ტრადიციულად, უკრაინის ბოლო ნომრის გარეკანზეა ხოლმე აღმუშავებული.


წელს უკრაინა Time-ის რედაქციამ წლის ადამიანად ამერიკელი მომღერალი, ტელიორ-სუიფტი, დაასახელა. ეს მართლაც სენსაციია, რადგან, გამოცემის ისტორიაში პირველად, წლის პერსონა მომღერალი ხდება. უკრაინა ტელიორ-სუიფტი შეაფასა, როგორც იმეათი ადამიანი, რომელიც საკუთარი ისტორიის ავტორიცაა და გმირიც. მეორე ცნობილი გამოცემა, ფორბსმა, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალბატონების სია გამოაქვეყნა. 2018 წლამდე, ფორბსი, ზოგადად, გავლენიანი პიროვნებების სიას აქვეყნებდა ხოლმე. ახლა, პიროვნე-

ბების სია ქალბატონების სიით შეცვალა. წლებანდელი სიის ხუთეულში, ოთხი პოლიტიკოსია. პირველ ადგილზე, უკვე, ზედიზედ, მეორეჯერ, ევროკომისიის ხელმძღვანელი, ურსულა-ფონ-დერ-ლაიენია. შემდეგ მოდიან ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, კრისტინ-ლაგარდი, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი, კამალა-ჰარისი და იტალიის პრემიერ-მინისტრი, ჯორჯია-მელონი. მეხუთე ადგილი კი, მომღერალმა ტელიორ-სუიფტმა დაიკავა. რაც შეეხება ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ, ნობელის პრემიას, როგორც ცნობილია, პრემია, ტრადიციულად, ეძლევათ უნიჭიერეს გამოჩენილ ადამიანებს ხუთ დარგში: ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ეკონომიკაში, მშვიდობის განმტკიცებასა და ლიტერატურაში. 2023 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი 11 გამორჩეული ადამიანი გახდა, მათ შორის, ქიმიის დარგში, ფრანგი მანგი ბოუენდი, ამერიკელი ლუის ბრიუსი და რუსი ალექსეი ლეიბინი. სამივე მეცნიერი ამერიკაში მოღვაწეობს. ჯილდო მათ ნანოტექნოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, კერძოდ, კვანტური წერტილების სინთეზის აღმოჩენისთვის გადაეცათ. ფიზიკის დარგში, ნობელის პრემიის ლაურეატი ფრანგი მეცნიერი, პიერ-აგოსტინი, ფრანგული წარმოშობის შვედი ფიზიკოსი ანდრე-ლუი და უნგრელი მეცნიერი ფერენც-კრაუსი გახდნენ. ჯილდო მათ სინათლის ხანმოკლე იმპულსების გაზომვისთვის და გამოკვლევისთვის მიენიჭათ. ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში, 2023 წლის ნობელის პრემია უნგრელი წარმოშობის ამერიკელი ბიოქიმიკოსმა, კატალინ-კარიკომ და ამერიკელმა ექიმმა-იმუნოლოგმა, დრე-გაისმანმა მიიღეს. ჯილდო მათ ნუკლეოზიდის ბაზურ მოდიფიკაციებთან დაკავშირებული აღმოჩენებისთვის გადაეცათ. სწორედ მათი მიღწევების წყალობით შეიქმნა კოვიდის საწინააღმდეგო ეფექტიანი ვაქცინები. ეკონომიკის დარგში, ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი ეკონომისტი კლაუდია-გოლდინი გახდა. ის მსოფლიოში ცნობილი შრომის ეკონომიკის ექსპერტი და ეკონომიკის ისტორიის მკვლევარია, რომელსაც ხშირად ასახელებენ 10 ყველაზე გავლენიან ეკონომისტ ქალთა შორის. პრემია კი, შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის შესახებ კვლევისთვის მიენიჭა.

მშვიდობის პრემია ირანელ უფლებამოსიულს, ნარგიზ-მოჰამადის გადაეცა. ლიტერატურაში ნობელის პრემია ნორვეგიელ მწერალს, მთარგმნელსა და დრამატურგს, იონ-ფოსკას მიენიჭა. ნუზუარ ზ. რუსაძე POSTV



აუზუა



ზელიზელ მუქვსელ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეექვსედ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

გაიმართება. ევროპის ჩემპიონატი წელს ახალი ფორმატით ჩატარდება - მონაწილე 16 ნაკრები გასული ევროპირველობის შედეგების მიხედვით, ორ დღეში გადანიშნა.

საქართველო ხორვატეთთან, უნგრეთთან, ესპანეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, საფრანგეთთან და მონტენეგროსთან ერთად I დღეში მონაწილე იქნება, II დღეში - უნგრეთთან, ესპანეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, საფრანგეთთან და მონტენეგროსთან ერთად II დღეში მონაწილე იქნება.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში იტალიას (4 იანვარი), უნგრეთს (6 იანვარი) და საბერძნეთს (8 იანვარი) დაუპირისპირდება. პირველი დღეში ორივე ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში გავა, დანარჩენი 4 გუნდი კი პლეი-ოფში გადაინაცვლებს, სადაც მეორე დღეში ორი ჯგუფის პირველ-მეორეადგილოსნები იმართებენ მეოთხედფინალის საგურისთვის.

აზინიზუა

უნივერსია ლაზრინას

იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატის, Lega A-ს მე-14 ტურის შედეგად იტალიის უნივერსია ლაზრინას „ვირტუს ბოლონია“ „პეზაროს“ უმასპინძლა და მეტოქე 83:66 დაამარცხა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი მოედანზე ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. შედეგად 22 წუთში 22 ქულა, 5 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. თორნიკე 11-დან 8 სროლა გამოიყენა და 7-დან 6 საჯარო, მისმა შედეგად კოეფიციენტი კი +20 შეადგინა. „ვირტუს ბოლონია“ „პეზაროს“



წინააღმდეგ უპირატესობა მეორე მეოთხედში მოიპოვა და შემდეგ მთელი შეხვედრის განმავლობაში ხელიდან აღარ გაუშვია.

ამ მომენტისთვის ქართველი კალათბურთელის გუნდს იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატში 10 გამარჯვება და 4 მარცხი აქვს, ამ შედეგით კი გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზეა.

გრუნდაუა

ასლოა „მესამე“

„მედი“ გიორგი მიქაუტაძის ტრანსფერზე აქტიურად მუშაობს. როგორც ცნობილი გამოცემა L'Equipe იტყობინება, ქართველის „მედი“ დაზრუნება გარდაუვალია.

„აიასმა“ გიორგი „კადისთან“ ესპანეთში ამხანაგური მატჩისთვის არ წაიყვანა და ოფიციალურად ამის მიზეზად მოსალოდნელი ტრანსფერი დაასახელა. მხარეები ახლა მუშაობენ ტრანსფერის პირობებზე.

ფრანგებს სურთ, რომ 6-თვიანი იჯარის გარდა, მათ ზაფხულში მიქაუტაძის 10 მილიონ ევროდ გამოსყიდვის უფლებაც ჰქონ-



დეთ. მოგვხსენებთ, ის „აიასმა“ 16 მილიონ ევროდ და პლუს მონეტარულ შედეგად შეიძინა. „მედი“ ხელმძღვანელობა ჩქარობს ტრანსფერის წარმატებით დახურვას, რადგან სურს, 5 იანვარს, საფრანგეთის თასზე „კლერმონთან“ მატჩისთვის განაცხადოს შეიყვანოს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში გიორგი მიქაუტაძემ „მედი“ მაისურით ლიგა 2-ში 23 ბურთი გაიტანა და 8 საგოლე პასი გააკეთა, ხოლო მიმდინარე სეზონში ლიგა 1-ში სამ შეხვედრაში 2 გოლი და 1 მუსტი პასით გამოიჩინა თავი. მან „აიასში“ 9 უგოლო შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ სამჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში.

კორტუა

მოგებით გახსნა

2024 წლის სეზონი გამარჯვებით გახსნა ნიკოლოზ მასილაშვილმა. ლუქსემბურგში, ITF-ის ტურნირზე ქართველმა ჩოგბურთელმა მსოფლიო რეიტინგის 397-ე ნომერი, დანიელი ელმერ მოლეფრი ორ სეტში, 6:4, 7:5 დაამარცხა.

მასილაშვილისთვის ეს გამარჯვება პირველია 2023 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ. მაშინ ATP-ის ოცეულის ყოფილმა წევრმა ლიბანელი შაბიბი დამარცხა ბერგამოს ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე.



ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე ლუქსემბურგში, თიხაზე მიმდინარე ტურნირის მერვედფინალში ჩეხი იონას ფორთეტი იქნება, რომელიც კლასიფიკაციაში 540-ე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ მასილაშვილს ხელის ტრავმა ჰქონდა, ზაფხულში მან ორი ოპერაცია გაიკეთა და კორტზე ოქტომბერში დაბრუნდა, თუმცა შეხვედრების მოგება ძალიან უჭირდა. კარიერის მანძილზე ნიკოლოზ მასილაშვილს ATP-ის კატეგორიის ხუთი ტურნირი აქვს მოგებული, მსოფლიო რეიტინგში კი მისი საუკეთესო ადგილი მე-16 იყო. ამჟამად კლასიფიკაციაში ის 596-ე პოზიციაზეა.

ლეგიონარი

ასეც, ისეც...

ფრანგულმა გამოცემა we-figirondins-მა „მორდოს“ მოთამაშეების მიერ 2023-2024 წლების სეზონის დაწყებიდან ნაჩვენები სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ კრიტიკის მიუხედავად, ქართველი შემტევი ზურაბი ოსტაიაშვილი გუნდში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა.

გამოცემა ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელების რეიტინგი გოლი+პასი სისტემით შეადგინა. დავითაშ-

ვილს სეზონის დაწყებიდან 4 ქულა დაუგროვდა. 20 მატჩში მან 1403 წუთი ითამაშა, 1 ბურთი გაიტანა და 3 საგოლე გადაცემა შეასრულა.

„ეს რეიტინგი აჩვენებს, სეზონის დაწყებიდან „მორდოში“ გადამწყვეტ როლს რომელი ფეხბურთელები ასრულებენ. სათამაშო დრო ითვლება საფრანგეთის თასის მატჩების ჩათვლით“, - წერს გამოცემა.

ყველაზე ეფექტური სლოვენელი თავდასხმელი ზან ვიპოტ-



ნიკია, რომელმაც 6 ქულა დააგროვა - 4 გოლი და 2 შედეგიანი გადაცემა.

„მორდოს“ მოთამაშეთა რეიტინგი:

1. ზან ვიპოტნიკი 6 (4+2),
2. ალბერტ ალისა 5 (5+0),
3. გაიტან ვაისტეკი 4 (3+1),
4. ზურაბი ოსტაიაშვილი 4 (1+3).

კიდევ ერთმა გამოცემამ, girondins4ever-მა კი საპირისპირო შეფასება გამოაქვეყნა და „მორდოს“ ოთხი მოთამაშე (ზურაბი ოსტაიაშვილი, ალიუ ბაჯი, ალექს პიტუ და ჯერემი ლივოლანი) იმ ფეხბურთელებს შორის დაასახელა, რომლებიც იმე-

დებს ვერ ამართლებენ.

„ზურაბი ოსტაიაშვილი სეზონის ისე ვერ დაიწყო, როგორც იმედოვნებდით. გაცილებით ნაკლებად ასრულებს გადაწყვეტ როლს, ძველებურად კარს ხშირად არ უმიზნებს და ამას მხოლოდ ხანდახან ახერხებს. ის შემთავობით ნიკოლოზ ავლენს. ზურაბი სწრაფად მრავლდება, დრიბლინგითაც ნაკლებად გამოიჩენება და ბურთის დაკარგვის შემდეგ მის დასაზრუნებლად აღარ იმარცხებს. ჯერ ის მწვრთნელის ნდობას ინარჩუნებს, მაგრამ რამდენ ხანს, ეს საკითხავია“, - წერს გამოცემა.

ვინ შეკლავს პუტინის უკრაინას?

დასავლეთის სუიციდურმა სტრატეგიამ უკრაინის დამარცხება შეიძლება გამოიწვიოს, რის შედეგადაც მსოფლიო წესრიგი თავდაყირა დადგება, - წერს ფრანგული გაზეთი Le Figaro სარედაქციო სტატიაში სათაურით ვინ შეძლებს პუტინის შეჩერებას, თუ ის უკრაინაში გაიმარჯვებს?



„ვლადიმერ პუტინმა (2024) წელი დიდი ფოიერვერკით დაიწყო. (ის) სკოლებს, ეკლესიებს, სამშობიაროებს, საავადმყოფოებსა და სავაჭრო ცენტრებს თავისი მომხმობით ანადგურებს, თითქოს ეს ლეგიტიმური სამიზნე იყოს. ახალი „ცარი“ მსოფლიოს ავტორიტეტი შეხსენებას სთავაზობს, რომ მისი მიზნები 2024 წელს არ შეცვლილა: მას სურს განადგუროს უკრაინის სუვერენიტეტი და იმის იმედი, რომ უკრაინა ერთ დღეს გახდება აყვავებული დემოკ-

რატია, ინტეგრირებული ევროკავშირსა და შესაძლოა ნატოში“, - ნათქვამია სტატიაში.

„ამერიკის კონგრესი ყოყმანობს უკრაინის გადარჩენისთვის აუცილებელი დახმარების გამოყოფაზე. ევროპაშიც კი ისმის ხმები, რომელიც კიევს მოლაპარაკებებისკენ უბიძგებს. თითქოს დასავლეთმა ვერაფერი ისწავლა კრემლის ბატონის წინაშე წარსულში გამოჩენილი სიმზავისგან“, - ნათქვამია სტატიაში. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთთან ურთიერთობების ესკალაციის შიშის გამო, ჯო ბაიდენი უკრაინის გადარჩენის საშუალებას აძლევს, თუმცა მას გამარჯვების საშუალებას არ აძლევს.

ბრიტანული ტრაილერები უკრაინაში ვერ ჩაბნ

თურქეთის პრეზიდენტის აპარატთან არსებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თურქეთმა ორ ტრაილერს, რომელიც მრითანეთმა უკრაინას გადასცა, შავ ზღვაში შესვლის საშუალება მისცა.

დეკემბერში ბრიტანეთმა განაცხადა, რომ უკრაინის საზღვაო ფლოტს გადასცემს ორ ტრაილერს - სამხედრო გემი, რომელიც განკუთვნილია წყალქვეშა ნაღმების მოსასპობად.

„თურქეთმა დაუყოვნებლივ შეაფასა რუსეთის სპეციალური სამხედრო ოპერაცია უკრაინის წინააღმდეგ, რო-

გორც ომი და სრუტეების რეჟიმის შესახებ მონტრეს კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, დახურა სრუტე საომარ მდგომარეობაში მყოფი მხარეების (რუსეთი და უკრაინა) სამხედრო გემებისთვის“, - ნათქვამია თურქეთის პრეზიდენტის აპარატთან არსებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის განცხადებაში. განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თურქეთი, რომელიც 1936 წლიდან მიუკერძოებლად და გულმოდგინედ ახორციელებს მონტრეს კონვენციას, ინარჩუნებს თავის უწყვეტ გადაწყვეტილებასა და პრინციპულ პოზიციას თავიდან აიცილოს დაძაბულობის ესკალაცია შავ ზღვაში.

„ჩვენს შესაბამის მოკავშირეებს სათანადოდ ეცნობათ, რომ ბრიტანეთის მიერ უკრაინისათვის გადაცემული ტრაილერები ვერ შეძლებენ თურქეთის სრუტეების გავლით შავ ზღვაში შესვლას, ვიდრე ომი გრძელდება“, - აღნიშნულია განცხადებაში.



განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს აღუქსანდრე განჩილაძის, თამილა მაჭავარიანის და შოთა განჩილაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრებები: აღუქსანდრე განჩილაძე (პ/ნ 18001071207), თამილა მაჭავარიანი (პ/ნ 18001052261), შოთა განჩილაძე (პ/ნ 18001070805), ზესტაფონი, ს. დილიკაური, 27-ე ქუჩა №5

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ზესტაფონი, ვახუშტი ბატონიშვილის II შესახვევი №15 (საკადასტრო კოდი: 32.10.31.357 <https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი ხანივით ვალდებულებებით.

- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 45390.57 ლარი.
- აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 29 დეკემბერი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 12 იანვარი, 14:00 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP95316923; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 953169

6. მოვალე: არტურ ხურციძე (პ/ნ 17001003244), ვანი, ს. გორა.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიდინგი“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95316923; ლოტის ნომერი: 953169).

ნივთისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 იანვრის 12:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ქეთევან ჭინჭარაულის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ქეთევან ჭინჭარაული (პ/ნ 23001006191), თიანეთი, დ. ხანიკიძის ქ. №25 (ყოფ. სიონის ქ.)

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თიანეთის რაიონი, დუღელები (საკადასტრო კოდი: 73.10.23.140 <https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი ხანივით ვალდებულებებით.

- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 11218.34 ლარი.
- აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 29 დეკემბერი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 12 იანვარი, 14:20 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP95317023; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 953170

6. მოვალე: ნოდარ ჭინჭარაული (პ/ნ 23001001050), თიანეთი, ს. დუღელები.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიდინგი“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95317023; ლოტის ნომერი: 953170).

ნივთისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 12 იანვრის 12:00 საათამდე.


ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა!



შინაპან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევია მ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა რომ მრალდებულმა მეუღლე - 1987 წელს დაბადებული ი.მ. მათუში, თავიანთ საცხოვრებელ სახლში, ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაჭრილი ქალი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ნითელი სირკულარით ქაბნილი მსტრადირებულია



საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, პოლიციისგან დაკავშირებული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის წითელი ცირკულარით ძებნილი პირის ექსტრადიციის განხორციელება.

ამ საქმეზე დადგინდა, რომ 2020 წლის 2 ივლისს, მსჯავრდებული პირი თანამშრომლებთან ერთად, დაზარალებულს თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა, რის შემდეგაც, დაზარალებულს წინა-

აღმდეგობის დაძლევის მიზნით, მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ ესროლა კიდურების მიმართულებით და მძიმე დაზიანებები მიაყენა. აღნიშნულის შემდეგ, ექსტრადინებულმა პირმა თანამშრომლებთან ერთად დაზარალებულს უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანა, სადაც მას სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიაყენეს. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული იმავე დღეს გარდაიცვალა. გამოკვლეული მტკიცებულებებით ასევე დადასტურდა, რომ თავდასხმელებმა ფიზიკურად იძალადეს დაზარალებულის მამაზე, რა დროსაც ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს. ძებნილი პირი ბუგდიდის რაიონულმა სასამართლომ წარდგენილ მრალდებებში დაუსწრებლად ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. საქართველოს პროკურატურამ პოლიციის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს სხენებული პირის წინასწარი დაკავების, შემდეგ კი ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართა. ვარშავის ინტერპოლიდან მიმდინარე წლის 13 დეკემბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

ქარკულში ქაბრა სოლი დანით დაჭრა...

ქარკულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო შაქმაქეთში ქმარმა ცოლი დანით დაჭრა. მამაკაცმა ქალს ჭრილობა თავის არეში მიაყენა.

„არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ცოლი დანით დაჭრა. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, როგორც ვიცით, ოპერაცია ჩატარდა, თუმცა მისი მდგომარეობა მძიმეა“, - უყვებიან ადგილობრივ სააგენტოს.


ფრთხილად! ქვეყანაში ახალი მკვლელობის შემთხვევა

ქვეყანაში ახალი მკვლელობის შემთხვევა გამოჩნდა. სიცოცხლისთვის საშიში აშკარა შავ მანარზე იყიდება. კლუბური ნარკოტიკის ინტოქსიკაციით ზოლო ერთ თვეში კლინიკის ათობით ახალგაზრდამ მიმართა. დადგენილი ნივთიერება სუნთქვის უკმარისობას იწვევს და შესაძლოა, ადამიანი კომატოზურ მდგომარეობაში მოხდეს. განსაკუთრებით საშიშია ამ ნარკოტიკის ალკოჰოლთან ერთად მიღება.


სპეციალისტები ლეტალურ შემთხვევებზე საუბრობენ და ამბობენ, რომ ამ ახალი ნივთიერების სიდლიერე 50-100-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მორფინის. დეკემბერში ჩვენც დავაფიქსირეთ ე.წ. უცნობი ნივთიერება, რომლის კომბინაციაში მოხმარება ალკოჰოლთან იწვევს მძიმე შედეგებს - ფსიქოლოგიური დაწვეობის გარდაცვალებით დაამთავრებულია და ამას ნარკოლოგიები აღნიშნავენ. ამ ნივთიერების შესახებ ლეტალურად ძნელია ვისაუბრო, იმიტომ რომ სხვადასხვა ნარკოტიკი მომხმარებელი სხვადასხვა სახელწოდებით იცნობს მას. ეჭვია, რომ მასში გარეული დასაყვლეთი ფართოდ გავრცელებული ფეტალინი, რომელიც საკმაოდ ძლიერი სინთეზური ოპიოიდია. მისი სიდლიერე დაახლოებით 50-100-ჯერ მეტია, ვიდრე მორფინის. აქედან გამომდინარე, დეგმა ლეტალური შემთხვევა, რადგანაც ფეტალინი ძლიერად თრენავს სისხლის მიმოქცევას და სუნთქვის ცენტრს და აგემა გარდაცვალების შემთხვევებში, - ამბობს სპეციალისტი „პირველმთა“.

კლუბის მოყვარული ადამიანები ამბობენ, რომ აღნიშნული ნარკოტიკით დაზარალებულების ასაკი 17-დან 25 წლამდე მერყეობს. მათი თქმით, არ ხდება ამ ნივთიერების შესაბამისი ლაბორატორიული კვლევა და მოსახლეობის გაფრთხილება.

ამ ნივთიერების მომხმარებლები ხშირად არიან ახალგაზრდები, რომლებიც კლუბებში მოიხმარენ ამ ნივთიერებას და მათ ორგანიზმს საერთოდ არ აქვს მზაობა იმ მძიმე ტოქსიკური შედეგისთვის, რომელსაც ეს ნივთიერებები იწვევენ. არ ხდება ამ ნივთიერების შესაბამისი ლაბორატორიული კვლევა და ამოღება და მოსახლეობის გაფრთხილების გაფრთხილება ამა თუ იმ სახეში ნივთიერების შესახებ. ჩემი აზრით მთავარი პრობლემა არის ეს“, - ამბობს სპეციალისტი.



არდავიწყება



თემურ ჩალაბაშვილი

თემურ ჩალაბაშვილის სამწერლო კურთხევა 1971 წელს შედგა, როდესაც სრულიად ჭაბუკმა ჟურნალ „დროში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსები.

მას შემდეგ თემურ ჩალაბაშვილის ნაწარმოებები — ლექსები, ნოველები, ლიტერატურული წერილები, ჩანახატები, მოგონებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე ნიგნებად.

თემურ ჩალაბაშვილის პოეტური კრებულები „მზე მამულის კვამლში“, „წვა შეგიძლია“, „პოეტის ასი ლექსი“, „ატირეთ წვიმები“, „საუბარი გულთან“, „ჟამსა უჟამოსა“ შეიყვარა და გაითავისა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ ამ კრებულების ლირიკული გმირი ერთი უბრალო ლამის მერვე თუ გუთნისდედაა, ლამის ყველასა და ყველაფრისადმი რწმენადაკარგული და გულგატეხილი, ერთადერთ იმედად რომ ის ხარები დარჩენია, საუკუნეების უღრანებიდან რქებზე სანთელდანთებულნი რომ მოისწრაფვიან ჩვენს და გვაფრთხილებენ, თუკი არსებობა გნადიათ, მაცხოვრის მადლსა და მირონს არ უღალატოთ... დიას, რაზეც არ უნდა ეწერა თემურ ჩალაბაშვილს, დედის დაშორებულ ხელებსა თუ შუშანიკ დედოფლის დილეგში შეღწეულ ათინათზე, ჰამლეტ გონაშვილის ხმის მინანქრებსა თუ მარიაკა ჩიქოვანის იგავიუნწვდომელ სიყვარულის ნიჭზე, ყველგან და ყოველთვის სიმართლისა და სამართლიანობის ზარებს არისხებდა. მას ხომ ქუჩაში მოკლული ბებერი ძაღლის დატირება შეეძლო, რადგან ეს საზარელი აქტი მისთვის კაცთა ერთგულების დასჯას წააგავდა. ის პოეტი იყო, გაზაფხულივით რომ ივსებოდა შემოდგომის სევდიანი ფერადებით, თოლისა წააგავდა, დაღლილსა და გათანგულ თოლიას, ზღვის უკიდურესობაში გამომწვევდებოდა, მას ხომ პაპის დაკოყრილი და ნაჯაფარი ხელისგული საქართველოს რუკას აგონებდა, დაჩეხილსა და დამცრობილ რუკას...

თემურ ჩალაბაშვილის ლექსი, შუშანიკ დედოფალს რომ მიუძღვნა, ოქრომედიტით ამოიქარგა მწამულ ხავერდზე და ახლა მეტეხის ტაძარში საქართველოსთვის წამებული დედოფლის საფლავს ამშვენებს. პოეტის ლექსზე „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო“ შექმნილ პიმს საქართველოს სულიერმა მწყემსმა ილია მეორემ მართლმადიდებლობის სიმღერა უწოდა, სოლო ლექსი „სანთელი“ თავად იქცა რელიგიურ სიმღერად.

თემურ ჩალაბაშვილის კალამს ეკუთვნოდა არაერთი ნოველა და პუბლიცისტური სტატია; იგი მრავალი წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი იყო.

თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ ენებზე.

პოეტის მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მინიჭებული ჰქონდა დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ლევან გოთუას სახელობის, „საგურამოს“ და „მუზას“ პრემიები, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდებები, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ნოემბერში დაბადებულს ჟამსა უჟამოსა მიმინოსავით დააცხრა თავს დეკემბრის ალენილი ქარები და თან გაიყოლა სული მისი — თეთრი მოცხარი...

ქართველ მწერლებს, მისი პოეზიის თავყანისმცემლებს ისლა დაგვრჩენია, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს გვახსოვდეს სამშობლოს მსახურებაში ბოლომდე ჩაფერფლილი შემოქმედი და მამულიშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები მწახარებით იუწყებიან აკაკის პრემიის ლაურეატის, შესანიშნავი ქართველი პოეტის

თემურ ჩალაბაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაცხადება



გოგი რამიშვილი

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ რაც ჩვენმა ჯგუფებმა კიდევ ერთი უახლოესი მეგობარი ბოლო რამიშვილი დაგვარგეთ. იყო ნაღდი თბილისელი, გამორჩეული კაცური ხიბლითა და გარეგნობით, უყვარდა მოლხენა და სიმღერა, იყო მელომანი.

ჩვენ ერთმანეთს 68 წლის წინ შევხვედით თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აუდიტორიაში და მას შემდეგ ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. იყო ყველა კეთილი შესვედრის მოთავე და ორგანიზატორი, თბილი და ყურადღებიანი მეგობარი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო გოგის როგორც ინჟინერ-მშენებლის წარმატებული მოღვაწეობა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სასტუმარში. სხვადასხვა დროს იყო სამუშაოთა მწარმოებელი, ბეტონის ქარხნის დირექტორი, სამშენებლო სამმართველოს უფროსი. მისი ხელმძღვანელობით აშენდა საცხოვრებელი სახლები, ქარხნები, სკოლები, საბავშვო ბაღები.

სწავლობდა ასპირანტურაში. დაიცვა დისერტაცია და ისევ დაუბრუნდა მშენებელი-ინჟინრის რთულ და საპატიო საქმიანობას. იმუშავა „თბილქალაქმშენის“ მინისტრის ნაგებობების ტრესტის მმართველად, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო სამმართველოს“ უფროსის მოადგილედ. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგის ხელმძღვანელობით აღდგენილი, ხანძრით განადგურებული, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რისთვისაც, სხვა სპეციალისტებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

შემდგომში გოგი რამიშვილი დაინიშნა საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაერთიანება „ტაძარმშენის“ უფროსად. ამ პერიოდში მისი მონაწილეობით ჩატარდა ჯვრის, სვეტიცხოვლის, ქვათახვის, ყინწვის, ბაგრატიის, გელათის ტაძრების, შატბისა და ერეკლე II-ის თელავური სახლის რეკონსტრუქცია.

წარმატებული საინჟინრო და სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად, გოგი რამიშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მეგობრები

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თემურ ჩალაბაშვილი.

ზეციური საქართველოს მკვიდრთა შერთობა კიდევ ერთი დიდებული შემოქმედი, რომელსაც არასდროს არ უღალატია იმ დიადი ცნებებისთვის, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ — ილია მართლმადიდებელი ორიენტირებად დაუტოვა შთამომავალთ — მიმული, ენა, სარწმუნოება.

თემურ ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1976 წელს დაასრულა.

თემურ ჩალაბაშვილმა საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის მუშად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წამყვან რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ განყოფილების გამგედ, თსუ ჟურნალისტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობაზე კი თანათავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა და თანამოძმეთ სათნოების, კეთილშობილების, მოყვასის უანგარო სიყვარულის უებრო მაგალითებს აძლევდა.

ჰაილუტ გონაშვილი

შენ წამოიწყე — „დაივიანეს“ და შუბლზე გაჩნდნენ თშკის ბზარები, იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ ბეკა და ბეშქენ თბიზარები. კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები, როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი და არწივული შენი თვალებით მესატებოდა წინ ავთანდილი... ..მღეროდი, რაღაც სულ სხვა

თილისმით, თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი, თავზე გეხურა ზეცა თბილისის, რომლის მიწაზეც ამოთავთავდი. დაივიანეს, მაგრამ საღამურს ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ და ის პატარა მწყემსი ბიჭები კახეთის მთებში დანავარდობენ. ...შენ წამოიწყე — „დაივიანეს“ და შუბლზე გაჩნდნენ თშკის ბზარები,

ეგებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ ბეკა და ბეშქენ თბიზარები.

ჭირისუფალი

შეუფანცქალდა გული პაწიას, დაეცა მიწას ახალმოთოვლილს. ატირდა მუხა, ტოტი დასწია და მიაფარა მკვდარ ჩიტს ფოთოლი...

სანთელი

ნაპო შიროსმანაშვილი
შენ ციური ხარ, უფლის ხმობილი, თ, პაწაწინა თაფლის სანთელი. გყოლია მრეველი ხელაპყრობილი, შენ შეგინახავს ეს საქართველო. ჩამოგიქრთლებს სული ტაძართა და ეგ სიწმინდე გასაკვირია: ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წავართვა, ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია...

...შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო, მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძენია. შენ, საქართველოს ჭირისუფალი, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია...

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით ღრმა მწახარებით იუწყება გამოჩენილი და გამორჩეული პიროვნების ირაკლი ფარნაოზის ძე ქავთარაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბრიტანეთის პრემიერის საუბარო სელქობები

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა საახალწლო ფილმების სერიით „მარტო სახლში“ შთაგონებული სადღესასწაულო ვიდეორგოლი გადაიღო, რომელიც საკუთარ YouTube-არხზე გამოაქვეყნა.

რგოლის დასაწყისში სუნაკი თავის რეზიდენციაში მუშაობს და იაზრებს, რომ სრულიად მარტო დარჩა. ამის შემდეგ ის კვიცინ მაკალისტერის მსგავსად გართობას იწყებს. პრემიერი Coca-Cola-ს ქილემით ბოლინგს თამაშობს, ეფერება რეზიდენციის ბინადარ კატა ლარის, იპარავს ტკბილეულს ნაძვის ხიდან, უყურებს საახალწლო ფილმებს და ბუხარში მარშმელოუს წვავს.

რგოლის ბოლოს კი რეზიდენციაში სატელეფონო ზარი ისმის. „პრემიერ-მინისტრის ოფისი. ჰარი, ნომერი შეგეშალა“, – ამბობს სუნაკი და სწრაფად კიდებს ყურმილს. სავარაუდოდ ჰარიში პრინცი ჰარი იგულისხმება, რომელმაც დიდი ბრიტანეთი დატოვა და ოჯახთან ერთად აშშ-ში ცხოვრობს.




სახალწლოდ – პირველი ჩინური ელექტრომობილი

სმარტფონების ჩინურმა მწარმოებელმა Xiaomi-მ თავისი პირველი ელექტრომობილი წარადგინა და განაცხადა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ავტომწარმოებლების ხუთეულში გეგმავს შესვლას.



„თავდაუზოგავი შრომით, მომდევნო 15-20 წელიწადში მსოფლიოს საუკეთესო ავტომწარმოებლების ხუთეულში შევალთ და ჩინეთის ავტოინდუსტრიას წინ წამოვიწევთ“, – განაცხადა პრეზენტაციაზე Xiaomi-ს ხელმძღვანელმა ლი იუნმა. რაც შეეხება თავად ელექტრომობილს, ეს სედანი SU7-ია, რომელსაც იგივე ოპერატიული სისტემა უყენია, რაც Xiaomi-ს პოპულარულ ტელეფონებს. Xiaomi ავტომობილებს BAIC Group-ი პეკინის ერთ-ერთ ქარხანაში დაამზადებს.

მიკი მაუსი უფასოდ



მულტფილმებისა და „დისნეის“ მოყვარულებისთვის 2024 წელი სასიხარულო ინფორმაციით დაიწყო. ცნობილი გმირების, მიკისა და მინი მაუსის გმირების საავტორო უფლებებს ვადა გაუვიდა.

ბოლო 95 წლის განმავლობაში მულტფილმის გმირებზე საავტორო უფლებებს კომპანია Steamboat Willie ფლობდა. საავტორო უფლებების ვადის გასვლის შემდეგ „მიკი მაუსის“ ყურება საზოგადოებას უფასოდ შეუძლია. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ამ გმირების უფასოდ, სარეკლამოდ გამოყენებაც. მიკი მაუსისა და მინი მაუსის გმირების საავტორო უფლებებთან ერთად ვადა გაუვიდა „ვინი პუკის“ საავტორო უფლებებსაც.


კიდეკარტი კორუფციონერი სენატორი



სენატორ გომ მენდელს, რომელიც დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს, ბრალი წაუყენეს კატარის მთავრობის დასახმარებლად თავისი უფლებამოსილების გამოყენებაში.

შარშან 23 სექტემბერს, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა სენატორ გომ მენდელს ბრალი წაუყენა კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეზე. გომ მენდელსა და მის მეუღლეს ბრალი ედვოკატად გაუყენეს სანაცვლოდ „ასობით ათასი დოლარის ქრთამის აღებაში“. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) „დემოკრატი“ სენატორის სახლის ჩხრევისას 100 000 დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები და 480 000 დოლარი გადახდილი ნაღდი ფული აღმოაჩინა. სამრალდებო დასკვნის თანახმად, მენდელსი და მისი მეუღლე შეთანხმდნენ, მიეღოთ ასობით ათასი დოლარი ქრთამის სახით, რათა დაეცვათ სამი ბიზნესმენი ნიუ-ჯერსიდან – ვაელ „ვილ“ შანა, ხოსე ურიბე და ფრედ დაიბესი – და ასევე ეგვიპტის სასარგებლოდ ემოქმედათ.

ვენეცია ტურისტებისთვის უფასოდ ანესებს



იტალიის ქალაქში ტურისტულ ჯგუფებში 25-ზე მეტი ადამიანის დაშვება იკრძალება. ასევე იზღუდება აუდიოსისტემების გამოყენებაც. ტურისტებს ავტომატურად ვიწრო ქუჩებსა და ხილდებზე გაჩერებაც. კანონის მთავარი მიზანი ქვეყანაში მასობრივი ტურიზმის თავიდან არი-

დება და ქალაქის განტვირთვაა. გარდა ამისა, ამით უკეთ იქნება დაცული როგორც ადგილობრივების, ასევე, ტურისტების უსაფრთხოება. ვენეცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივად ტურისტული ქალაქია. ახალი კანონი ძალაში ივლისიდან შევა.

სოლი როგორ საუბაროდ ქათმებს ბარუქებს...

ყოფილ ფეხბურთელს, ინგლისის ნაკრების კაპიტანს დევიდ ბექჰემს საქათმე და ქათმები აჩუქეს. ორიგინალური საჩუქარი მას მეუღლემ ვიქტორიამ გაუკეთა და ამის ამსახველი ვიდეოც სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. კადრებზე 48 წლის დევიდი საჩუქრით კმაყოფილი ჩანს.



გამორიცხეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:
შპს „ელვა ჯი“
595 382 626; 2 38 26 73;
2 38 26 74; 577 308 847
შპს „კლანედა ფორტე“
579 79 99 08; 599 94 73 11
წერილები გამოგზიზნავენთ ელექტრონულ ფოსტაზე: SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:
თბილისი, ა. წარითლის პროსპექტი №116,
„დიდუბა პლაზა“ – საქართველოს
შურნალისტთა კავშირისა და გაზეთ
„საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.
ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის
(დახმარების) თანხა შეგიძლიათ
ჩარიცხვით ანბარიშვამ
GEO90BG0000000538329790
შპს „100 – ახალი საქართველოს
რესპუბლიკა“,
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA

ა.წარითლის №116 (დიდუბა პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა მამუკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომცემელი
ჯგუფი:

ალეკო ასლანიშვილი
ბია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-
კორექტორები:

ნაირა კიკელია,
ბაია იორამაშვილი,
ოპარატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17

rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იზაქიძე სტამბა
„კოლორი“
ა. პაღვავაძის №3

„კოლორი“
ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა
საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალაზე
დაიზაქიძე
ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომღებო
ნომერი
გამოვა
ორშაბათს,
8 იანვარს



უხსოვრი პაუზის ქარსი:
აშუ ფორარი - 2.6889; პირი - 2.9390;
ბრიტანული ბირჟა სტრატეჯი - 3.3947;
100 რუბლი - 2.9916; თურქული ლირა - 0.0910;
აპარბანიჟანული მანათი - 1.5806;
1000 სომხური დრამი - 6.6528

აპრილი 4 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, ღამე +12
მთიანი რაიონები - ღამე -6, ღამე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, ღამე +14
მთიანი რაიონები - ღამე -8, ღამე +5
თბილისი: ღამე +3, ღამე +12

დაგვირეკით, მოგვწერით:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge